საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და განკარგულებათა

კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И РАСПОРЯЖЕНИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

F 171
1955

2

თებერვალი

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა

თბილისი—1955

ᲛᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი გ. ჯიბლაძე
15 იანვარი 1955 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲐᲜᲘ

მუშა ახალგაზრდობის სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ

მუშა ახალგაზრდობის სკოლებში მოსწავლეთა მიღების ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო წინადადებას იძლევა იხელმძღვანელოთ შემდეგით:

1. მუშა ახალგაზრდობის სკოლებში მიიღებიან ორივე სქესის 15 წლისა და მეტი ასაკის მოქალაქენი, რომლებიც მუშაობენ წარმოებებში, ტრანსპორტზე, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე ომისა და შრომის ინვალიდები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა:

ა) სახელოსნო სასწავლებლების მოსწავლეები მუშა ახალგაზრდობის სკოლებში მიიღებიან შესაბამისი სასწავლებლის დირექტორის წერილობითი ნებართვით;

ბ) ის პირები, რომლებიც არ მუშაობენ, მუშა ახალგაზრდობის სკოლების დაწყებით კლასებში მიიღებიან იმ შემთხვევაში, თუ ისინი ასაკის მიხედვით არ შეეფერებიან მასობრივი სკოლების შესაბამის კლასებს;

გ) გამონაკლისის სახით, საერთო წესების საფუძველზე მუშა ახალგაზრდობის სკოლებში შეიძლება მიღებულ იქნენ დიასახლისები.

2. მუშა ახალგაზრდობის დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლის როგორც დაკომპლექტებულ, ისე ახლადგახსნილ კლასებში მოსწავლეთა მიღება წარმოებს ყოველწლიურად, თვითეული სკოლისათვის სახალხო სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული კონტინგენტის ფარგლებში.

3. სწავლო წლის დასასრულს დირექტორი სახელმწიფო გეგმით მოცემულ მოსწავლეთა კონტინგენტის გათვალისწინების საფუძველზე განსაზღვრავს მისაღები ახალგაზრდობის რაოდენობას

კლასების მიხედვით და ამის შესაბამისად აცხადებს ახალ სასწავლო წელს სკოლაში მიღებას.

4. ახალი ნაკადის მიღებას მუშა ახალგაზრდობის სკოლებ[illegible] დებენ 15 ივნისიდან. სკოლაში ახალგაზრდობის ჩასაბმელად სკოლის დირექტორი, საწარმოს ადმინისტრაციასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, საწარმოებში ატარებს ახსნა-განმარტებითს მუშაობას, აქვეყნებს განცხადებებს, სარგებლობს ახალგაზრდობის კრებებით, ადგილობრივი გაზეთით და რადიოსატრანსილაციო ქსელით.

5. მუშა ახალგაზრდობის სკოლაში შემსვლელი პირი განცხადებასთან ერთად სკოლაში წარადგენს შემდეგ საბუთებს:

ა) სკოლის დირექტორის მიერ ხელმოწერილ და ბეჭედდასმულ მოწმობას ან ცნობას განათლების შესახებ;

ბ) ცნობას მუშაობის ადგილის შესახებ და დახასიათებას;

გ) ცნობას საცხოვრებელი ადგილის შესახებ (დაბადების წლის აღნიშვნით);

დ) სამკურნალო დაწესებულების ცნობას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

განცხადებათა მიღება მუშა ახალგაზრდობის სკოლაში ჩარიცხვის შესახებ წყდება 20 აგვისტოდან.

6. ის პირები, რომლებიც სკოლაში შესვლისას განცხადებასთან ერთად ვერ წარადგენენ საბუთს განათლების შესახებ, მისაღებ გამოცდებს აბარებენ წინა კლასის ყველა საგანში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მუშა-ახალგაზრდობის სკოლის მე-11 კლასში შემსვლელი პირებისათვის განათლების შესახებ საბუთის წარდგენა აუცილებელია.

7. ის პირები, რომლებიც წარადგენენ საბუთებს განათლების შესახებ, მაგრამ სწავლაში ორ წელზე მეტი წყვეტა აქვთ, აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში:

V—VI და VII კლასებში—მშობლიურ ენაში (წერითი), რუსულ ენასა (წერითი) და არითმეტიკაში (ზეპირი) წინა კლასების პროგრამის ფარგლებში.

VIII კლასში — მშობლიურ ენაში (წერითი), რუსულ ენასა (წერითი) და არითმეტიკაში — ალგებრით (წერითი), VII კლასის პროგრამის ფარგლებში.

IX კლასში მშობლიურ ენაში (წერითი), რუსულ ენაში (წერითი) ალგებრა-არითმეტიკაში (წერითი), გეომეტრიასა (ზეპირი) და სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ზეპირი) VIII კლასის პროგრამის ფარგლებში.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სსრ კავშირის კონსტიტუციაში გამოცდებს აბარებენ ის ახალგაზრდები, რომელთაც არა აქვთ საბუთი, სათანადო შეფასებებით, რვა კლასის დამთავრების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

X კლასში—მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერითი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერითი), ალგებრაში (წერითი), გეომეტრიაში (ზეპირი) და ფიზიკაში (ზეპირი) მე-9 კლასის პროგრამის ფარგლებში.

XI კლასში—მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერითი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერითი), ალგებრაში (წერითი), გეომეტრიაში (ზეპირი), ქიმიასა (ზეპირი) და ფიზიკაში (ზეპირი) X კლასის პროგრამის ფარგლებში.

8. მუშა ახალგაზრდობის რვაწლიანი და საშუალო სკოლების და წყებით კლასებში შემსვლელ პირთა ჩარიცხვა წარმოებს მათთან გასაუბრების საფუძველზე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: იმ პირებისათვის, რომელთაც სწავლაში აქვთ წყვეტა არა უმეტეს ორი წლისა და განათლების საბუთებით შედიან V—XI კლასებში, მათი ცოდნის დონის გასაცნობად ტარდება წერითი გამოცდები მშობლიურ ენაში, რუსულ ენასა და მათემატიკაში.

9. მისაღები გამოცდები ტარდება 20-დან 30 აგვისტომდე; მუშა ახალგაზრდობის სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვა წარმოებს მისაღები გამოცდების დამთავრების შემდეგ.

სასწავლო წლის დაწყების შემდეგ მუშა ახალგაზრდობის სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვა, ერთი სკოლიდან მეორეში გადასვლის ან საბჭოთა არმიიდან დემობილიზაციის მოტივის გარდა დაუშვებელია.

10. მუშა ახალგაზრდობის სკოლებში შემსვლელთა მისაღებ გამოცდებისათვის მოსამზადებლად დახმარების მიზნით 31 ივლისიდან 20 აგვისტომდე ტარდება კონსულტაციები.

11. მისაღები გამოცდებისათვის წერითი სამუშაოს სახეებია:

ა) მშობლიურ ენაში (V, VI, VII, VIII და IX კლასებში) — კარნახი;

ბ) მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (X—XI კლასებში) — თხზულება ლიტერატურულ თემაზე;

გ) რუსულ ენაში (V, VI, VII, VIII და IX კლასები) კარნახი;

დ) რუსულ ენასა და ლიტერატურაში (X და XI კლასები) — მცირე მოცულობის მოთხრობის შინაარსი მისი წინასწარი წაკითხვით;

ე) მათემატიკაში (VIII, IX, X და XI კლასები) — ერთი ამოცანა და ორი მაგალითი.

12. ზეპირი მისაღები გამოცდები ტარდება შემსვლელთა ინდივიდუალური გამოკითხვით.

13. ტექსტსა და თემას წერითი სამუშაოებისათვის, კითხვებს, ამოცანებსა და მაგალითებს მისაღები გამოცდების ჩასატარებლად ამზადებს სათანადო საგნის მასწავლებელი და ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

14. მისაღები გამოცდები ტარდება სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული ცხრილით, ამასთან, ჯგუფში ერთ დღეს შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი გამოცდა. საგამოცდო ცხრილი სკოლაში ქვეყნდება გამოცდების დაწყებამდე ხუთი დღით ადრე.

15. მუშა ახალგაზრდობის სკოლაში შემსვლელს თვითეულ საგანში ცდის სათანადო საგნის მასწავლებელი და ასისტენტი, რომელიც მტკიცდება დირექტორის მიერ.

16. მისაღები გამოცდების შედეგები განიხილება სკოლის პედაგოგიურ საბჭოზე.

შესაბამის კლასებში მოსწავლეთა ჩარიცხვა წარმოებს პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით და ფორმდება სკოლის დირექტორის ბრძანებით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა:

ა) სკოლაში ვაკანტური ადგილების სიმცირის შემთხვევაში უპირატესობა ეძლევათ გამოცდების წარმატებით ჩამბარებლებს და წარმოების მოწინავეებს;

ბ) მუშა ახალგაზრდობის სკოლის კლასები კომპლექტდება მათი დატვირთვის დადგენილი ნორმის შესაბამისად (ახლადგახსნილი სკოლების I და V კლასებში 25—25 კაცი, დანარჩენ კლასებში კი 20—20);

გ) ის პირები, რომელთაც ადრე დაამთავრეს რვა კლასი და სწავლაში ხუთ წელზე მეტი წყვეტა აქვთ, მათი ცოდნის შეფასების შემდეგ არსებული წესების საფუძველზე შეიძლება მიღებულ იქნენ VIII კლასში;

დ) ის პირები, რომელთაც დაამთავრეს ტექნიკუმები ან სხვა სპეციალური საშუალო სასწავლებლები და რომელთაც წარმოებაში იმუშავეს დაწესებული 3 წელი, ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში, შეიძლება ჩაირიცხონ მუშა ახალგაზრდობის სკოლის IX კლასში. ტექნიკუმების ან სხვა სპეციალური სა-

შუალო სასწავლებლების მოსწავლეები და აგრეთვე ადრე ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლადამთავრებულები მუშა ახალგაზრდობის სკოლაში არ მიიღებიან.

17. ის პირები, რომელთაც მისაღებ გამოცდებზე არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღეს ერთ ან რამდენიმე საგანში, შეიძლება ჩაირიცხონ მხოლოდ იმ კლასებში, რომელთაც შეეფერება მათი ცოდნის ფაქტიური დონე.

18. სკოლაში ჩარიცხვის შესახებ ეცნობება როგორც ჩარიცხულ პირს, ისე შესაბამისი წარმოების, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაციას.

19. ახლადმიღებული ყველა მოსწავლის გვარი შეიტანება მოსწავლეთა მოძრაობის წიგნში და მასზე დგება პირადი საქმე.

ამ მითითებათა გამოცემასთან დაკავშირებით უქმდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1951 წლის 26 თებერვლის № 8/117 ცირკულარული წერილის ის ნაწილი, რომელიც მუშა ახალგაზრდობის სკოლებში მოსწავლეთა მიღებას ეხება.

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის
სკოლების განყოფილების უფროსი **რ. კანდელაკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 236

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წლის 22 იანვარი

საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

წარმოდგენილი მასალებით დადასტურდა, რომ საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილების მიერ 1954 წლის მეოთხე კვარტალში შემოწმებულია 11 საბავშვო სახლისა და 3 სპეციალური სკოლა-ინტერნატის მუშაობა; შემოწმებული საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობასა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას სერიოზული ნაკლოვანებები ახასიათებს.

კოჯრის № 6, 7, 8, მზისის, ქლუხორის № 2, 3 და თამარაშენის საბავშვო სახლებში სუსტადაა დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა. დირექტორები და სასწავლო-საალმზრდელო ნაწილის გამგეები არ უწევენ სათანადო კონტროლსა და დახმარებას აღმზრდელებს, იშვიათად ატარებენ ღია მეცადინეობებს, არ ღებულობენ ზომებს აღსაზრდელთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის, არ ტარდება ლექციები, მოხსენებები და საუბრები.

დაბალია აღსაზრდელთა აკადემიური წარმატება; ქლუხორის № 3 საბავშვო სახლის 82 აღსაზრდელიდან 11 მეორეწლიანია. რუსთავის საბავშვო სახლის 88 აღსაზრდელიდან 20 ვერ ასწრებს; ქლუხორის № 2 საბავშვო სახლის 64 აღსაზრდელიდან ვერ ასწრებს 10. ასეთივე მდგომარეობაა მზისის, კოჯრის № 6, № 7, № 8 და თამარაშენის საბავშვო სახლებში.

დასახელებული საბავშვო სახლების დირექტორები არ იბრძვიან აღსაზრდელთათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად, მზისის, ქლუხორის № 2, № 3 და თამარაშენის საბავშვო სახლებში სამეცადინო ოთახები მოუწყობელია, არ მოეპოვებათ თვალსა-

ჩინო ხელსაწყო-იარაღები, არა აქვთ საკმაო რაოდენობის სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები.

აღმზრდელები — ა. თედოზაშვილი, ე. მაისურაძე (კოჯრის № 8 საბ. სახ.) და დ. სტადნიჩენკო (კოჯრის № 6 საბ. სახ.) არ-ეკუთვნებიან მეცადინეობისათვის, არ იმაღლებენ თავიანთ პედაგოგიურ და იდეურ-პოლიტიკურ დონეს, არ ზრუნავენ აღსაზრდელთა მაღალი აკადემიური წარმატებისა და შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის.

აგრეთვე სუსტად მუშაობენ აღმზრდელები მ. მსუქნიშვილი, მ. ბრეგვაძე (თბილისის № 1 დამხმარე სკოლა-ინტერნატი), ნ. ვერმენიკი (კოჯრის № 7 საბავშვო სახლი), ს. თათარაძე (მზისის საბავშვო სახლი), ს. ჯიქური და რ. სესიაშვილი (ქლუხორის № 3 საბავშვო სახლი).

თამარაშენის, ქლუხორის № 2, № 3, მზისის, კოჯრის №№ 3, 6, 7, 8 საბავშვო სახლებში არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული შრომის სწავლება.

მზისის, ქლუხორის № 2, № 3 და თამარაშენის საბავშვო სახლებში ჩაშლილია პიონერთა შორის მუშაობა.

აღნიშნულ საბავშვო სახლებში ანტისანიტარული მდგომარეობაა; აღსაზრდელები სკოლაში დადიან უსუფთაოდ, მოურგებელ ტანსაცმელ-ფეხსაცმელით, იპარებიან გაკვეთილებიდან და მოუმზადებლად ცხადდებიან სკოლაში. არადამაკმაყოფილებელია აღსაზრდელთა მოვლა-პატრონობის საქმე თბილისის № 1 დამხმარე სკოლა-ინტერნატში.

დასახელებულ საბავშვო სახლებში პედაგოგიური საბჭოს სხდომები, მეთოდთათბირები ტარდება მოუმზადებლად, გეგმიანობა მოუწესრიგებელია; სუსტად მუშაობენ მზრუნველთა საბჭოები და საშეფო ორგანიზაციები.

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა თამარაშენის, მზისის, ქლუხორის № 3, № 4, კოჯრის № 8, № 3 საბავშვო სახლებსა და თბილისის № 1 დამხმარე და უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატებში.

ადგილი აქვს საბიუჯეტო თანხების როგორც გადახარჯვებს, ისე აუთვისებლობას.

გადახარჯული აქვს თამარაშენის საბავშვო სახლს 6579 მან., მზისის — 6136 მან., ქლუხორის № 3—15120 მან., ასეთივე მდგომარეობაა კოჯრის № 4, № 8, № 3 საბავშვო სახლებსა და თბილისის № 1 დამხმარე და უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატებში. ადგილი აქვს დანაკლისებს და თანხების უკანონო ხარჯვის შემ-

თხვევებს მზისის, ქლუხორის № 3, კოჯორის № 8 საბავშვო სახლებსა, თბილისის უსინათლო ბავშვთა და № 1 დამხმარე სკოლა-ინტერნატებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბავშვო სახლების დირექტორებისა და ბუხჰალტრების უყურადღებობის შედეგად გაზრდილია დებიტორული დავალიანებები.

თამარაშენის საბავშვო სახლში 1950 წელს გამოვლინდა მითვისება-განიავება 123.705 მანეთის რაოდენობით, ხოლო 1954 წლის 1 იანვრისათვის, ნაცვლად შემცირებისა, გაიზარდა 227.911 მანეთამდე.

არადამაკმაყოფილებელია აღსაზრდელთა კვება. კოჯრის საბავშვო სახლები არ არიან უზრუნველყოფილი ტრანსპორტით. კოჯრის სახლთმმართველობა სუსტად ხელმძღვანელობს საბავშვო სახლების და საცხოვრებელი ბინების რემონტის საქმეს (სახლთმმართველი ბ. მირველაშვილი).

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. ნ. მედოევას განიხილოს თამარაშენის საბავშვო სახლის დოკუმენტალური რევიზიის მასალები, გაატაროს საჭირო ღონისძიებანი და შედეგები აცნობოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მ/წლის 15 მარტამდე.

2. აღინიშნოს, რომ ქლუხორის რაიონის მზისის საბავშვო სახლი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ა/წლის 7იანვრის № 7 დადგენილებით ლიკვიდირებულია, დამნაშავეთაგან თანხების ამოღება დაევალოს სალიკვიდაციო კომისიას.

3. მიღებულ იქნეს ცნობად ქლუხორის № 2 საბავშვო სახლის დირექტორ ამხ. რ. ალავიძის განცხადება იმის შესახებ, რომ ქლუხორის № 2 და № 3 საბავშვო სახლებში შემოწმების შემდეგ მდგომარეობა გამოსწორდა. დაევალოს ამხ. ა. მოსაშვილს შეამოწმოს ამხ. რ. ალავიძის განცხადების სისწორე და შედეგები წარმოუდგინოს კოლეგიას.

4. აღრიცხვა-ანგარიშგების არასათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის ქ. თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატის ბუხჰალტერი ე. მათეშვილი განთავისუფლდეს სამუშაოდან, ხოლო თბილისის № 1 დამხმარე სკოლა-ინტერნატის ბუხჰალტერს ქ. ჭანტურიას გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

5. კოჯრის № 8 საბავშვო სახლის დირექტორს ი. ასკურავას საბავშვო სახლზე არასაკმაო ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

6. იმის გამო, რომ არ ემზადებიან მეცადინეობისათვის, არ იმაღლებენ თავიანთ იდეურ-პოლიტიკურ დონეს, არ ზრუნავენ აღსაზრდელთა მაღალი აკადემიური წარმატებისა და შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისათვის, გამოეცხადოთ საყვედური აღმზრდელებს დ. სტადნიჩენკოს (კოჯრის № 6), ა. თედოზაშვილს და ე. მაისურაძეს (კოჯრის № 8).

7. აღმზრდელებს ნ. ვერმენიკს (კოჯრის № 7 საბ. სახლი), ს. ჯიქურს (ქლუხორის № 3), მ. მსუქნიშვილს და მ. ბრეგვაძეს (ქ. თბილისის № 1 დამხმარე სკოლა-ინტერნატი) სუსტი მუშაობისათვის მიეთითოს.

8. დაევალოს საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებას (ამხ. ვ. ჩინჩალაძეს) უახლოეს დროში შეამოწმოს კოჯრის № 6 და № 7 საბავშვო სახლების სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეურნეო საფინანსო საქმიანობა და შედეგები წარმოუდგინოს კოლეგიას.

9. თბილისის № 1 დამხმარე სკოლა-ინტერნატის დირექტორს ს. ბახტაძეს სკოლა-ინტერნატზე არასაკმაო ხელმძღვანელობისათვის მიეთითოს.

10. დაევალოს საბავშვო სახლებისა და სპეცსკოლა-ინტერნატების დირექტორებს უზრუნველყონ ამ ბრძანებაში და შემოწმების მასალებში აღნიშნული დეფექტების გამოსწორება უახლოეს დროში.

11. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებას (ს. არველაძეს):

ა) უზრუნველყოს საბავშვო სახლების აღსაზრდელთა მომარაგება კვების პროდუქტებით;

ბ) საჭიროების შემთხვევაში მიამაგროს კოჯრის საბავშვო სახლებს ავტომანქანა წყლის საზიდად.

12. დაევალოს საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებას (ვ. ჩინჩალაძეს) ამ ბრძანების შესრულების შემოწმება მოახდინოს ა/წლის IV კვარტალში და შედეგი მოახსენოს კოლეგიას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1955 წლის 21 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 244

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წლის 25 იანვარი

თიანეთის, ხობის და ცაგერის რაიონების სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ თიანეთის, ხობისა და ცაგერის რაიონების სკოლებისა და განათლების განყოფილებათა მუშაობაში, მიუხედავად ერთგვარი მიღწევებისა, ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ბევრი სკოლის ხელმძღვანელს არ მიუღია საჭირო ზომები სკოლის სათბობით მომარაგების, შენობის მაღალხარისხოვანი რემონტის, სასკოლო ინვენტარის შეკეთების, სახელმძღვანელოებით მოსწავლეთა უზრუნველყოფისა და პედაგოგიური კადრებით დაკომპლექტებისათვის.

სერიოზული ნაკლოვანებებია პოლიტექნიკური სწავლების განხორციელების საქმეში. თიანეთის რაიონის 43 სკოლიდან მიწის ნაკვეთი აქვს მხოლოდ 22 სკოლას, ხობის რაიონის 31 სკოლიდან 19-ს, ცაგერის რაიონის 48 სკოლიდან 42-ს. მიწის ნაკვეთი ზოგიერთ სკოლას იმდენად დაშორებით გამოუყვეს, რომ სწავლების პროცესში მისი გამოყენება შეუძლებელია. სკოლები არ არიან უზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით, სათესლე მასალით და მინერალური სასუქებით.

არ ეწყობა ექსკურსიები მტს-ებში, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმებში, კოლმეურნეობებსა და ელექტროსადგურებში.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ქართული ენა და ლიტერატურა ცაგერის რაიონის ჩხუტელის (მასწ. ბ. დაშნიანი, მ. ჩარკვიანი), ორბელის (მასწ. თ. ჩაჩხიანი), ალპანის(მასწ. ნ. ალავიძე), თიანეთის რაიონის სიონის (მასწ. ნ. ჯანაშვილი); რუსული ენა და ლიტერატურა ალპანის (მასწ. გ. შეკიშვილი); ორბელის (მასწ. გ. უჩაძე, თ. თაბაგარი); ჩხუტელის (მასწ. შ. მურცხველაძე, ბ. დაშნიანი); გერმანული ენა — ცაგერის (მასწ. მ. ჩიქოვანი), ორბელის (მასწ.

ნ. შეროზია); ჩხუტელის (მასწ. ს. ქარსელაძე); ფიზიკა — ალპანის (მასწ. ი. ზაუტაშვილი); ხობის (მასწ. ე. ჯოჯუა); ქიმია — ჩხუტელის (მასწ. ნ. კაპანაძე); ალპანის (მასწ. მ. გორდეზიანი); ისტორია — ხობის (მასწ. თ. გოგინავა) და არითმეტიკა თიანეთის რაიონის სიონის (მასწ. შ. მადურაშვილი) საშუალო სკოლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლების ერთ ნაწილში საგნებს ასწავლიან არასპეციალისტი მასწავლებლები, (ცაგერის რაიონის ლაჯანურჰესის რუსულ რვაწლიან სკოლაში რუსულ ენას ასწავლის ეკონომისტი კ. სილაგაძე, ფიზიკას პედსასწავლებელდამთავრებული ვ. ბრუევა; ჩხუტელის, ორბელისა და ალპანის საშუალო სკოლებში რუსულ ენას ასწავლიან არასპეციალისტები — ს. ნემსიწვერიძე, ს. ჩახულიანი, მ. ჩიქოვანი და გ. შეკიშვილი).

დაბალ იდეურ დონეზე ტარდება გაკვეთილები თიანეთის რაიონის თოლენჯის დაწყებით სკოლაში (მასწ. ნ. მამადაშვილი, ს. ძროხელაშვილი).

დაბალია მოსწავლეთა წარმატება პირველი მეოთხედის შედეგების მიხედვით. თიანეთის რაიონის სიონის საშუალო სკოლის (დირექტორი — შ. ჭინჭარაული) 377 მოსწავლიდან ვერ ასწრებდა 155 და 57 მეორეწლიანიდან —28, ტუშურების საშუალო სკოლის (დირექტორი შ. ფილაური) 431 მოსწავლიდან —147, ჟებოტის რვაწლიანი სკოლის (დირექტორი — შ. გოგსაძე) 136-დან —41 და 18 მეორეწლიანიდან 7, ცაგერის რაიონის დაწყ. სკოლის (გამგე გ. ნემსიწვერიძე) 31 მოსწავლიდან —10.

სუსტია შინასასკოლო კონტროლი. სკოლის დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები იშვიათად ესწრებიან გაკვეთილებს, მათ მიერ მოსმენილი გაკვეთილების ანალიზი ზოგადია და ზერელე, (სიონის საშუალო სკოლა — დირექტორი შ. ჭინჭარაული, ჟებოტის რვაწლიანი სკოლა — დირექტორი შ. გოგსაძე და სასწ. ნაწილის გამგე ნ. ნადიბაიძე, საყდრიონის რვაწლიანი სკოლა — დირექტორი გ. ხახაშვილი და სასწავლო ნაწილის გამგე მ. ბუჯიაშვილი, რვაწლიანი სკოლა — დირექტორი შ. გოგსაძე და სასწ. ნაწილის გამგე ა. ზარანდია).

სუსტია დისციპლინა მოსწავლეთა შორის. არის ქურდობის (ხობის რ. შუაქვალონის სკოლა), სიმთვრალის, ხულიგნობის, სასკოლო ინვენტარის მტვრევის (ხობის საშუალო სკოლა) შემთხვევები. სხვადასხვა დანაშაულისათვის რამდენიმე მოსწავლე პატიმრობაშიაც კი იყო აყვანილი. ამ მოსწავლეთა შორის იყვნენ კომკავშირლებიც (სიონისა და სიმონიანთხევის საშუალო სკოლები).

ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმეს. თიანეთის რაიონში სკოლის გარეთ დარჩენილია 7—15 წლის ასაკის 89, ხობის რაიონში —39, ცაგერის რაიონში —4 ბავშვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არადამაკმაყოფილებელია სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობისადმი განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელობა, დახმარება და კონტროლი.

სათანადო ყურადღება არ ექცევა მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. არცერთ დასახელებულ რაიონში არ აშენებულა მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლები (გეგმით ხობისა და ცაგერის რაიონებში უნდა აშენებულიყო ორ-ორი და თიანეთის რაიონში ერთი სახლი).

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მასწავლებლები მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით მოემზადონ ყოველი გაკვეთილისათვის, უზრუნველჰყონ მოსწავლეების მიერ საპროგრამო მასალის საფუძვლიანად ათვისება, გაზარდონ მომთხოვნელობა მოსწავლეებისადმი, აღკვეთონ ლიბერალიზმი მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში.

2. სკოლების დირექტორებმა:

ა) არსებითად გარდაქმნან მასწავლებელთა მუშაობისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, სისტემატურად მოისმინონ მასწავლებელთა გაკვეთილები, შედეგები განიხილონ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და დასახონ ქმედითი ღონისძიებანი მუშაობის არსებითად გაუმჯობესებისათვის;

ბ) უზრუნველჰყონ სასკოლო კაბინეტების შევსება, მოვლა-პატრონობა და სწავლების პროცესში მათი სათანადოდ გამოყენება;

გ) მიიღონ ყოველგვარი ზომა სკოლებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფისა და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით, სათესლე მასალითა და მინერალური სასუქებით უზრუნველსაყოფად;

დ) გაატარონ სათანადო ღონისძიებანი პოლიტექნიკური სწავლების განხორციელების, მოსწავლეთა საფუძვლიანი ცოდნით და პრაქტიკული ჩვევებით შეიარაღებისათვის.

ე) ღრმად მოფიქრებული, თანმიმდევრული პედაგოგიური ღონისძიებების გატარებით უზრუნველჰყონ მოსწავლეთა შორის დისციპლინის მკვეთრად გაუმჯობესება;

ვ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობას და უზრუნველჰყონ, რომ კომკავშირელები და პიონერები მოწინავენი იყვნენ შეგნებული

დისციპლინის განმტკიცებისა და მაღალი აკადემიური მოსწრებისათვის ბრძოლის საქმეში;

ზ) უზრუნველჰყონ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის განუხრელად გატარება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) გააძლიერონ მეთოდური კომისიების მუშაობა.

3. განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გააუმჯობესონ სკოლების და მასწავლებელთა მუშაობისადმი დახმარება;

ბ) უზრუნველჰყონ სკოლების მიერ ზემდგომი ორგანოებისა და განათლების სამინისტროს ბრძანება-განკარგულებათა განუხრელი შესრულება;

გ) მიაღწიონ სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთებით სკოლების უზრუნველყოფასა და სკოლებისადმი მტს-ებისა და კოლმეურნეობების დახმარების განხორციელებას;

დ) დააწესონ კონტროლი მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვაზე და არ დაუშვან მოსწავლეთა სკოლიდან სკოლაში გადასვლის დადგენილი წესის დარღვევა;

ე) შეისწავლონ სკოლებიდან მოსწავლეთა განთესვის მიზეზები და მიიღონ გადამჭრელი ზომები მომავალი სასწავლო წლიდან სათანადო კლასებში მათი დაბრუნებისათვის;

ვ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ ბრძანებაში მოხსენებული სუსტი მასწავლებლების მუშაობას და სასწავლო წლის ბოლოს წარმოადგინონ დასკვნა სამუშაოზე მათი დატოვების შესაძლებლობის შესახებ.

4. მოსწავლეთა დაბალი წარმატებისა და მასწავლებელთა მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისათვის მიეთითოთ: თიანეთის რაიონის სიონის საშუალო სკოლის დირექტორს შ. ჭინჭარაულს, ტუშურების საშ. სკოლის დირექტორს შ. ფილაურს, ჟებოტის რვაწლიანი სკოლის დირექტორს შ. გოგსაძეს და სასწავლო ნაწილის გამგეს ნ. ნადიბაიძეს, საყდრიონის რვაწლიანი სკოლის დირექტორს გ. ხახაშვილს და სასწავლო ნაწილის გამგეს მ. ბუჯიაშვილს, ხობის რაიონის საჯიჯაოს საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ა. ზარანდიას, ცაგერის რაიონის უცხერის დაწყებითი სკოლის გამგეს გ. ნემსიწვერიძეს.

5. საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისა და მოსწავლეთა დაბალი მომზადებისათვის მიეთითოთ: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს — ბ. დაშნიანს, მ. ჩარკვიანს (ჩხუტელის საშუალო სკოლა) თ. ჩაჩხიანს (ორბელის საშუალო სკოლა) ნ. ალავიძეს (ალპანის საშ. სკ.), ნ. ჯაჯანაშვილს (სიონის

საშ. სკ.) რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს — გ. უჩაძეს, თ. თაბაგარს (ორბელის საშუალო სკ.), შ. მურცხველაძეს (ჩხუტელის საშ. სკ.), გერმანული ენის მასწ. მ. ჩიქოვანს (ცაგერის საშ. სკ.), ნ. შეროზიას (ორბელის საშ. სკ.), ს. ქარსელაძეს (ჩხუტელის საშ. სკ.); ფიზიკის მასწ. ი. ზაუტაშვილს (ალპანის საშ. სკ.), ე. ჯოჯუას (ხობის საშუალო სკ.), ქიმიის მასწ. ნ. კაპანაძეს (ჩხუტელის საშ. სკ.), მ. გორდეზიანს (ალპანის საშ. სკ.), ისტორიის მასწ. თ. გოგინავას (ხობის საშ. სკ.), არითმეტიკის მასწ. შ. მადურაშვილს (სიონის საშ. სკ.) და თიანეთის რაიონის თოლენჯის დაწ. სკოლის მასწავლებლებს ნ. მამადაშვილს და ს. ძროხელაშვილს.

6. განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ მომავალი სასწავლო წლისათვის შეცვალოს სათანადო განათლების მქონე მასწავლებლებით არასპეციალისტი მასწავლებლები: რუსულ ენაში კ. სილაგაძე (ლაჯანურჰესის რუსული რვაწლიანი სკოლა), ს. ნემსიწვერიძე და ს. ჩახულიანი (ჩხუტელის საშუალო სკოლა), მ. ჩიქოვანი (ორბელის საშ. სოლა), გ. შეკიშვილი (ალპანის საშ. სკ.) და ფიზიკაში ვ. ბრუევა (ლაჯანურჰესის რუსული რვაწლიანი სკოლა).

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1955 წლის 14 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 253

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წლის 26 იანვარი

თბილისის სკოლების ნორჩ მათემატიკოსთა II ოლიმპიადის შედეგებისა და მესამე ოლიმპიადის ჩატარების შესახებ

აღვნიშნავ, რომ 1953/54 სასწავლო წელს ჩატარებული ნორჩ მათემატიკოსთა II საქალაქო ოლიმპიადა მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო. ამ ღონისძიებამ ხელი შეუწყო მოსწავლე ახალგაზრდობის მათემატიკური კულტურის ამაღლებას, სკოლებში მათემატიკის სწავლების გაუმჯობესებას, საგნის ღრმად შესწავლისადმი ინტერესის გაძლიერებას და სასკოლო მათემატიკური წრეების მუშაობის გამოცოცხლებას.

ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღო თბილისის 85 საშუალო და 1 რვაწლიანი სკოლის 1488 მოსწავლემ.

პირველ ტურში მონაწილეობდა 1488, მეორე ტურში 311 ნორჩი მათემატიკოსი.

ამათგან პირველი ხარისხის ჯილდო მიიღო 16 მოსწავლემ, ხოლო მეორე — 30.

I ხარისხის ჯილდო მიიღეს:

1. თეიმურაზ ჭანტურიამ (1-ლი საშ. სკ. VII კლასის მოსწავლე).
2. რუიზან ხმალაძემ (68-ე „ „ VIII „ „);
3. ნადეჟდა გოლოვაჩმა (97-ე „ „ VIII „ „);
4. ოლღა შმელოვამ (38-ე „ „ VIII „ „);
5. ლერი გოგოლაძემ (30-ე „ „ IX „ „);
9. იგორ მარგველაშვილმა (43-ე „ „ IX „ „);
7. ოლეგ ივანოვმა (78-ე „ „ X „ „);
8. ჟანა საპონდჟიანმა (91-ე „ „ X „ „);
9. ბელა ძიგავამ (23-ე „ „ X „ „);
10. ზაირა გოგნიაშვილმა (47-ე „ „ XI „ „);
11. რამაზ აბდულაევმა (მე-17 „ „ XI „ „);

12. ლარისა ლაფერაშვილმა (66-ე „ „ XI „ „);
13. ამირან ედიბერიძემ (55-ე „ „ XI „ „);
14. ალექსანდრე დრაჩინსკიმ (70-ე „ „ XI „ „);
15. ჰარიკ ჩუმარიანმა (95-ე „ „ XI „ „);

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე ხარისხის პრემიით დაჯილდოებულ იქნენ:

მეოცე სკოლიდან 9 მოსწავლე; 1-ლი და 66-ე სკოლებიდან ორ-ორი მოსწავლე; მე-3, 21-ე, 25 ე. 35-ე, მე 40, 43-ე, 46-ე, 49-ე 52-ე, 55-ე, 62-ე, 68-ე, 70-ე, 77-ე, 78-ე, 79-ე, და მე-100 სკოლებიდან თითო მოსწავლე.

ზოგიერთი სკოლა სათანადო პასუხისმგებლობით არ მოეკიდა ოლიმპიადის ჩატარებას. სუსტი იყო მე-2, მე-4, მე-5, მე-6, მე-10, მე-8, მე-18, 44 ე, 31-ე, მე 60, 67-ე, 83-ე, 85-ე, 96-ე, 98-ე სკოლების მოსწავლეთა მონაწილეობა. ხოლო სრულიად არ მიუღიათ მონაწილეობა ოლიმპიადაში: მე-7, მე-12, მე-14, 45-ე, და 54-ე საშუალო სკოლებს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორმა (ამხ. შ. ბერიანიძემ) 1955 წლის 25 იანვრიდან 1955 წლის 18 აპრილამდე ჩაატაროს ნორჩ მათემატიკოსთა მესამე საქალაქო ოლიმპიადა.

2. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. პროფ. ვ. ჭელიძე (თავმჯდომარე),
2. პროფ. არ. ხარაძე,
3. გრ. ჯაფარიძე — პიონერთა სასახლის მათემატიკის კაბინეტის გამგე (თავმჯდომარის მოადგილე),
4. ს. გამრეკელი — (საქ. ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანი სკოლის დარგში),
5. შ. ბერიანიძე (პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორი),
6. პროფ. გ. ჭოლოშვილი,
7. დოც. თ. ცხადაია.
8. ტ. ტყემალაძე (განათლების სამინისტროს მეთოდისტი),
9. შ. იაშვილი (პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი),

10. გრ. ლორთქიფანიძე (თბილისის განათლების განყოფილების პედკაბინეტის მეთოდისტი),

11. ნ. კიკვაძე (1-ლი საშ. სკოლის დირექტორი),

12. ნ. ძიგავა (23-ე საშ. სკოლის მათემატიკის მასწავლებელი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ნორჩ მათემატიკოსთა მესამე საქალაქო ოლიმპიადის ჩამტარებელმა საორგანიზაციო კომიტეტმა შეადგინოს სამუშაო გეგმა, უხელმძღვანელოს ოლიმპიადის ჩატარებას და ოლიმპიადის მიმდინარეობის შესახებ პერიოდულად წარმოადგინოს მასალები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოში.

4. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მიერ წარმოდგენილი ოლიმპიადის დებულება დამტკიცდეს.

5. სკოლების დირექტორებმა მაქსიმალურად გამოიყენონ წინა წლების გამოცდილება და მიაღწიონ საქალაქო ოლიმპიადაში მათემატიკით დაინტერესებული მოსწავლეების მასობრივ ჩაბმას.

6. ქ. თბილისისა და ქ. თბილისის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა ფართოდ გააცნონ ნორჩ მათემატიკოსთა მესამე საქალაქო ოლიმპიადის ჩატარების დებულება მათემატიკის მასწავლებლებს და უზრუნველჰყონ ოლიმპიადაში მოსწავლეთა ფართო მონაწილეობა.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ (ამხ. ს. არველაძე) გამოუყოს პიონერთა სასახლეს ოლიმპიადისათვის საჭირო ქაღალდი.

8. გაზეთების—„სახალხო განათლების“ და „ნორჩი ლენინელის“ რედაქციებმა გაზეთის ფურცლებზე გააშუქონ ოლიმპიადის მიმდინარეობა.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**
1955 წ. 25 იანვარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ე გ უ ლ ე ბ ა

ნორჩ მათემატიკოსთა მესამე საქალაქო ოლიმპიადის შესახებ

1. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე და სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი 1955 წლის 3 აპრილიდან 18 აპრილამდე ატარებს ნორჩ მათემატიკოსთა მესამე საქალაქო ოლიმპიადას.

2. ოლიმპიადა მიზნად ისახავს გააღრმაოს მოსწავლეთა მიერ სკოლაში მიღებული ცოდნა მათემატიკაში, გამოავლინოს ნიჭიერი მოსწავლენი, ხელი შეუწყოს სკოლაში მათემატიკური წრეების მუშაობას, აამაღლოს ქალაქის მოსწავლეთა მათემატიკური კულტურა.

3. ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საშ. სკოლის მე-8, 9, 10 და მე-11 კლასის მოსწავლეებს, რომელთაც მათემატიკაში აქვთ ნიშანი არანაკლებ „ოთხისა“.

4. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მათემატიკის კაბინეტთან იქმნება საქალაქო საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

5. საორგანიზაციო კომიტეტი ოლიმპიადაში მონაწილეობის მსურველ მოსწავლეთათვის მოაწყობს მეცნიერ-მუშაკთა ლექციებს მათთვის საჭირო თემებზე. ლექციები ჩატარდება თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში. ლექციების განრიგი ცალკე გაეგზავნება ქალაქის ყველა სკოლას. ოლიმპიადის მონაწილეთათვის წინასწარ გამოიცემა სავარჯიშო ამოცანები და გაეგზავნება სკოლებს დაახლოებით ორი თვით ადრე ოლიმპიადის ჩატარებამდე.

6. 2 მარტისათვის სკოლები საორგანიზაციო კომიტეტს უგზავნიან იმ მოსწავლეთა სიას, რომლებიც მიიღებენ მონაწილეობას ოლიმპიადაში.

7. ნორჩ მათემატიკოსთა ოლიმპიადა ტარდება პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში ორ ტურად. ორივე ტური დასწრებულია.

8. ოლიმპიადაში მონაწილე მოსწავლეებს მიეცემათ სამი ამოცანა, დრო ამოცანების ამოხსნისათვის განსაზღვრულია სამი საათი.

9. ოლიმპიადის პირველი ტური ყველა კლასისათვის ტარდება 1955 წლის 3 აპრილს (კვირა დღეს). კომიტეტი 4-დან 15 აპრილამდე ახდენს ამოცანების გარჩევას და შეაფასებს ქულებით.

10. ოლიმპიადის მონაწილენი, რომლებიც მიიღებენ ქულების საკმაო რაოდენობას, არა ნაკლებ სამი ქულისა 6 შესაძლებლიდან, დაიშვებიან მეორე ტურზე. თითოეული ამოცანის ამოხსნისათვის იწერება ერთი ან ორი ქულა, იმის მიხედვით, თუ რამდენად რაციონალური გზით არის ამოხსნილი ამოცანა.

11. მეორე ტური ყველა კლასისათვის ტარდება 1955 წლის 17 აპრილს.

12. მეორე ტურის ჩატარების შემდეგ კომიტეტი განიხილავს ამოხსნილ ამოცანებს და აგრეთვე შეაფასებს ქულებით.

13. ოლიმპიადაში გამარჯვებულნი დაჯილდოებული იქნებიან. ჯილდოების გადაცემა მოხდება საზეიმო ვითარებაში თბილისის სკოლების მოსწავლეთა და სხვადასხვა საზოგადოებრივი დაწესებულების წარმომადგენელთა თანდასწრებით.

14. ოლიმპიადის შედეგები ქვეყნდება პრესაში 1955 წლის 10 მაისამდე.

ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის მისამართი:
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი № 6,
პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე,
მათემატიკის კაბინეტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ПРИКАЗ № 250

По министерству просвещения Грузинской ССР

1955 г. 25 февраля

О состоянии дисциплины учащихся 73-ей средней школы гор. Тбилиси

Заслушав доклад директора 73-й средней школы гор. Тбилиси тов. Агаева А. А. о состоянии дисциплины учащихся, отмечаю, что дисциплина учащихся в школе—удовлетворительная.

В школе нет случаев грубого нарушения правил поведения учащихся, видна работа классных руководителей, уделяется внимание сохранности школьного имущества.

Наряду с этим в школе имеются и недостатки. Имеют место пропуски уроков по неуважительным причинам (866 уроков во II-ой четверти), не обращается должное внимание на чистоту и опрятность учащихся младших классов. С I/IX 1954 г. органами милиции зарегистрировано 6 случаев нарушения правил уличного движения со стороны учащихся школы. Академическая успеваемость учащихся школы все еще не стоит на должной высоте (77% во второй четверти).

В целях изжития недочетов, имеющихся в деле внедрения сознательной дисциплины среди учащихся,

Приказываю:

Директору 73-й средней школы гор. Тбилиси тов. Агаеву А. А. полностью обеспечить проведение мероприятий, предусмотренных приказами Министерства просвещения Грузинской ССР (от I/VII-52 г. за № 1581 и от 3/XI-53 г. № 4489) об укреплении дисциплины в школе.

Основание: постановление коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 21/I 1955 г.

Министр просвещения
Грузинской ССР **Г. Джибладзе**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის და დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1955 წლის 28 იანვრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციის მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქცია წინა წლებთან შედარებით უკეთესად მუშაობს, გაზეთი საგრძნობ დახმარებას უწევს სკოლებსა და მასწავლებლებს. რედაქციის აპარატი დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით. ამის შედეგად კარგია გაზეთის ენა და სტილი.

მიუხედავად ამისა, რედაქციის მუშაობაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

გაზეთის ფურცლებზე სისტემატურად და საფუძვლიანად არ შუქდება საყოველთაო-სავალდებულო სწავლების საკითხები, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც ამ მხრივ ყველაზე ცუდი მდგომარეობაა. ნაკლებად ხდება ჩვენება სახალხო განათლების მოწინავე ადამიანებისა, სასკოლო ინსპექტორის, სკოლის დირექტორის, სასწავლო ნაწილის გამგის, მასწავლებლებისა და იმ სკოლებისა, რომლებიც წარმატებით ახორციელებენ პოლიტექნიკურ სწავლებას; ცოტა იწერება აგრეთვე განათლების განყოფილებათა გამგეების, მასწავლებელთა დახელოვნებისა და პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის, საშეფო ორგანიზაციების მიერ სკოლებისადმი გაწეული პრაქტიკული დახმარების, არაქართულ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის, უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში მასწავლებელთა მომზადების, მათი პრაქტიკული ცოდნა-ჩვევებით შეიარაღებისა და სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საკითხებზე.

სრულებით არ შუქდება სახალხო განათლებისა და პედაგოგიური საბჭოების, აგრეთვე მეთოდური კომისიების მუშაობა.

გაზეთში თითქმის არაფერი იწერება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში პროფკავშირული ორგანიზაციების როლის შესახებ.

სრულიად არ გვხვდება წერილები ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების შემოღების შემდეგ მოსწავლეებში მეგობრობისა და ამხანაგობის გრძნობის აღზრდაზე, ბავშვთა ერთიანი კოლექტივის შექმნასა და

ამ საქმეში კლასის ხელმძღვანელების, ოჯახისა და სასკოლო ორგანიზაციების როლზე. არ შუქდება უცხო ენების, ხაზვის, ხელგარჯილობის, სასწავლო-საცდელ ნაკვეთსა და სასწავლო სახელოსნოში პრაქტიკული მუშაობის სწავლების მდგომარეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლს ისიც წარმოადგენს, რომ რედაქცია ბეჭდავს დიდ-დიდ წერილებს, გაურბის მოკლე, სხარტი კორესპონდენციების მოთავსებას, რის გამო ცალკეული ნომრები თემატიკურად ღარიბი გამოდის. ხშირად თავსდება წერილები ერთი და იგივე რაიონის შესახებ.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული კორესპონდენტთა შორის მუშაობაც. არ ტარდება მათთან საინსტრუქტაჟო თათბირები. 1954 წლის მეორე ნახევარში რედაქციას კორესპონდენტებისათვის არ გაუგზავნია საორიენტაციო თემატიკა.

გაზეთში ნაკლებად ღებულობენ მონაწილეობას დამსახურებული მასწავლებლები და უმაღლესი სასწავლებლების მოწინავე ლექტორები.

სახალხო განათლების მუშაკთა აქტივისაგან მოწყვეტის შედეგად ზოგიერთ შემთხვევაში გაზეთი ვერ მისდევს ახალ მოვლენებს. მაგალითად, 1954 წლის 24 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებული წერილი „მახარაძის რაიონის სკოლებში“ წარმოადგენს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის პროპაგანდას, ნაცვლად იმისა, რომ გაზეთი ახალგაზრდებს მოუწოდებდეს სკოლის დამთავრებისთანავე სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე პრაქტიკულ მუშაობაში ჩაბმას.

რედაქცია წინდაუხედავად მოიქცა, როდესაც გაზეთის ფურცლებზე ადგილი დაუთმო ევგენი რისის პედაგოგიურად გაუმართლებელ, საზიანო, მოსწავლეთა ხულიგნური მოქმედების წამახალისებელ სტატიას („შემთხვევა მეექვსე კლასში“).

არის ფაქტები, როცა გაზეთის მუშაკები სათანადო გულისხმიერებით არ ეკიდებიან წერილების ავტორებისათვის პასუხის გაცემას. 1954 წელს რედაქციაში სულ შემოვიდა 2198 წერილი. აქედან დაიბეჭდა 555, პასუხი გაეცა ან გაეგზავნა სხვადასხვა ორგანიზაციებს 702, უპასუხოდ არის დატოვებული 941 წერილი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენენ:

გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციამ (ამხ. გ. საჯაია):

1. მრავალფეროვანი გახადოს გაზეთში გამოსაქვეყნებელი წერილების თემატიკა, მოათავსოს მოკლე, სხარტი წერილები სახალხო განათლების სხვადასხვა საჭირბოროტო, აქტუალურ საკითხებზე; ღრმად და საფუძვლიანად გააშუქოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხები; გააუმჯობესოს გაზეთის პოლიგრაფიულ ტექნიკური გაფორმება.

2. მეტი ყურადღება მიაქციოს საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელების მდგომარეობის შესწავლასა და გაშუქებას განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც ამ მხრივ სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი.

3. ფართოდ განაზოგადოს მოწინავე სახალხო განათლების განყოფილების გამგის, სასკოლო ინსპექტორის, სკოლის დირექტორის, სასწავლო ნაწილის გამგის, მასწავლებლებისა და იმ სკოლების მდიდარი გამოცდილება, რომლებიც წარმატებით ახორციელებენ პოლიტექნიკურ სწავლებას; კონკრეტულად გააშუქოს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის, პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტისა და საშეფო ორგანიზაციების მიერ მუშაობის ამ დარგში სკოლებისადმი გაწეული დახმარების საკითხები.

4. სისტემატურად გამოაქვეყნოს წერილები მოსწავლეებში შრომის სიყვარულის აღზრდისათვის სკოლებისა და მასწავლებლების მუშაობის დადებითი გამოცდილების, აგრეთვე მასწავლებელთა პრაქტიკული ცოდნა-ჩვევებით შეიარაღებისა და სტუდენტთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის გაუმჯობესების შესახებ.

5. მოწინავე გამოცდილების განზოგადების მიზნით ხშირად მოათავსოს წერილები სახალხო განათლების საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს და მეთოდური კომისიების მუშაობის საკითხებზე.

6. სერიოზული ყურადღება მიაქციოს მოსწავლეებში მეგობრობისა და ამხანაგობის გრძნობის აღზრდის, ბავშვთა ერთიანი კოლექტივის შექმნის და ამ საქმეში კლასის ხელმძღვანელების, ოჯახისა და სასკოლო ორგანიზაციების როლის გაშუქებას.

7. მოათავსოს წერილები უცხო ენების, ხაზვის, ხელგარჯილობის, სასწავლო-საცდელ ნაკვეთსა და სახელოსნოში პრაქტიკული მუშაობის სწავლების საკითხებზე.

8. ცოცხალი, კონკრეტული ფაქტებით გააშუქოს სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში პროფკავშირული ორგანიზაციების როლი და ამოცანები.

9. გადაჭრით გააუმჯობესოს კორესპონდენტთა შორის მუშაობა, ფართოდ ჩააბას გაზეთის მუშაობაში სახალხო განათლების მოწინავე მუშაკები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. არ დაუშვას შემოსულ წერილებზე პასუხის გაუცემლობის არცერთი შემთხვევა და ყველა ზომა მიიღოს ამ მიმართულებით არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის.

საქართველოს სსრ
განათლების მინისტრი
გ. ჯიბლაძე

საქართველოს სსრ დაწყებითი
და საშუალო სკოლის მუშაკთა
პროფკავშირის ცენტრალური
კომიტეტის თავმჯდომარე
ლ. მალლაფერიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 318

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წლის 1 თებერვალი

სკოლებში „მზად ვარ შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის“ ახალი კომპლექსის შემოღების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა შეიმუშავა და დაამტკიცა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“ ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი, რომელიც ძალაში შევიდა 1955 წლის 1 იანვრიდან.

მშთ ახალი კომპლექსი შეესაბამება საკავშირო ერთიანი სპორტული კლასიფიკაციის პროგრამასა და ახალგაზრდობის ფიზიკური მომზადების გაზრდილ მოთხოვნებს, იგი ხელს უწყობს სპორტში ახალგაზრდობის სწრაფად დაოსტატებას.

მშთ კომპლექსი შეიცავს სამ საფეხურს: იმშთ, მშთ პირველსა და მეორე საფეხურებს. ახალი კომპლექსის მიხედვით იმშთ ნორმების ჩაბარება უნდა სწარმოებდეს იმ ანგარიშით, რომ VIII კლასის მოსწავლეს ჰქონდეს იმშთ, ხოლო XI კლასის მოსწავლეს მშთ I საფეხურის ნიშანი.

მშთ კომპლექსზე მომზადება უნდა შეადგენდეს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის სასწავლო და კლასგარეშე მუშაობის საფუძველს. მოსწავლეთა მშთ კომპლექსზე მომზადებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორებს. სათანადო ნიშნებით დაჯილდოება იწარმოებს სკოლის დირექტორების ბრძანებით. აღნიშნული გარემოება სკოლის დირექტორებს ავალებს მიაღწიონ მოსწავლეთა მასობრივად ჩაბმას სპორტში, ყოველდღიური დახმარება და კონტროლი გაუწიონ შეჯიბრებათა ორგანიზაციას და იზრუნონ სკოლებში თვითნაკეთი კომპლექსური სამეცადინო ადგილების მოწყობაზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) უზრუნველყონ მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის მთელი მუშაობის ჩატარება სკოლებში მშთ ახალი კომპლექსის დებულების შესაბამისად;

ბ) გაითვალისწინონ ღონისძიებანი სკოლების სასპორტო მატერიალური ბაზების გასაუმჯობესებლად, იმ ანგარიშით, რომ მოსწავლეებს შეეძლოთ სისტემატური ვარჯიში ახალი ნორმების ჩასაბარებლად;

გ) დაუკავშირდნენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის ადგილობრივ კომიტეტებს და უზრუნველყონ ბავშვთა სასპორტო სკოლებში ფიზკულტურის საზოგადოებრივი ინსტრუქტორების მომზადება, რომლებიც გამოყენებულ იქნებიან სასკოლო ფიზკულტურის კოლექტივების თავმჯდომარეებად და მასწავლებელთა თანაშემწეებად;

დ) მშთ ახალი კომპლექსის ნორმატივების მომზადება-ჩაბარებისა და სპორტულ შეჯიბრებათა ორგანიზაციის საკითხები შეიტანონ ფიზიკური კულტურის მასწავლებელთა მეთოდური შეკრების გეგმებში;

ე) დროულად დაამტკიცონ სტაბილური სასპორტო კალენდარის მიხედვით რაიონის (ქალაქის) 1955 წლის სასკოლო სპორტული კალენდარი, რომელშიაც გაითვალისწინონ სპორტული ღონისძიებების ჩატარება ყოველ კვირა-უქმე დღეს.

2. რვაწლიანი და საშუალო სკოლების დირექტორებმა:

ა) ახალი კომპლექსის „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“ დებულება და მუშაობის ორგანიზაციის საკითხები განიხილონ პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე;

ბ) ჩაატარონ მოსწავლეთა და სკოლის ფიზიკური კულტურის კოლექტივის წევრთა საერთო კრებები პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით და განიხილონ მშთ ახალი კომპლექსის დებულება. განუმარტონ მოსწავლეებს, თუ რა არის მასში ახალი, სპორტის რომელ სახეში გაიზარდა ნორმატივები, რამ გამოიწვია მშთ ახალი კომპლექსის შემოღება და სხვ. ჩაატარონ ახალი კომპლექსის შესახებ მოხსენებები, საუბრები, ლექციები, მოაწყონ მშთ კომპლექსისადმი მიძღვნილი სპეციალური გა-

მოფენები სანორმატივო ცხრილებით და ვიტრინებით, რომლებიც ასახავენ სკოლის სპორტულ ცხოვრებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) უზრუნველყონ მშთ ახალი კომპლექსის ფართო პროპაგანდა და მიაღწიონ მოსწავლეთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობით ჩაბმას სპორტის სხვადასხვა სახეებში;

დ) მშთ კომპლექსის ცალკეულ სახეობათა მიხედვით მოაწყონ სასკოლო შეჯიბრებები, ფართოდ გამოიყენონ ზამთრისა და ზაფხულის არდადეგები მშთ კომპლექსის ნორმებზე მასობრივად ჩაბმისათვის.

3. პედაგოგიური ინსტიტუტების დირექტორებმა, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ფაკულტეტების დეკანებმა და კათედრის გამგეებმა სპეციალური დისციპლინების მასწავლებელთა ძალებით გაუწიონ დახმარება განათლების განყოფილებებს სკოლებში ახალი კომპლექსის სწავლებაზე ორგანიზებულად გადასვლის, აგრეთვე მასწავლებლებისა და აქტივის კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

4. სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის განყოფილებამ 1955 წლის II კვარტალის საგამომცემლო გეგმაში გაითვალისწინოს იმშთ და მშთ ნორმების ჩაბარების შესახებ სასწავლო პლაკატებისა და ორი მეთოდური ბროშურის გამოცემა.

5. „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“ ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის შესწავლისა და სკოლებში მისი გატარების მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდის მეთოდურმა კაბინეტმა 1955 წლის I კვარტალში გაითვალისწინოს რაიონების წარმომადგენლებისათვის სპეციალური სემინარების ჩატარება 36 საათიანი პროგრამით.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ და ფიზიკური აღზრდის მეთოდურმა კაბინეტმა სისტემატური კონტროლი დააწესონ მშთ კომპლექსზე ნიშნოსანთა მომზადებაზე, უზრუნველყონ მშთ კომპლექსის შესახებ მეთოდური ლიტერატურის და სასწავლო პლაკატების დასაბეჭდად მომზადება 1955 წლის 1 მაისისათვის.

ჩატარებული მუშაობის შესახებ პერიოდულად მოხსენდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 344

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1955 წლის 4 თებერვალი

მოსწავლეთა მე-10 რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის შედეგებისა და მე-11 კონფერენციის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

1954 წელს ჩატარებულმა მე-10 რესპუბლიკურმა სასწავლო-შემოქმედებითმა კონფერენციამ ხელი შეუწყო კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობის ფართოდ გაშლას.

კონფერენციაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ 39 რაიონის 421 რვაწლიანი და საშუალო სკოლის 5011 მოსწავლე. ადგილებზე შემოწმებისა და შერჩევის შემდეგ შემაჯამებელ სხდომებზე განსახილველად გამოიგზავნა 1200-მდე შრომა; აქედან ტექნიკაში 351, ბიოლოგიაში 130, გეოგრაფიაში 111, ისტორიაში 201; ქართულ ენასა და ლიტერატურაში 303, რუსულ ენასა და ლიტერატურაში 104.

კონფერენციისათვის კარგად მოემზადნენ და მრავალფეროვანი ნაშრომები წარმოადგინეს ქ. თბილისის, ქ. ქუთაისის, ქ. ბათუმის; ქ. ფოთის, თელავის, ლანჩხუთის, ცაგერის, სტალინირის, ტყიბულის, ქობულეთის, ონისა და სხვა რაიონების სკოლების მოსწავლეებმა.

გამოირჩეოდნენ: თბილისის სკოლებიდან ზ. სიხარულიძე (მე-17 სკოლა), ს. ბალათანი, ნ. ტიმოფეევი (70-ე სკოლა), თ.ხახნელიძე (25-ე სკოლა), მ. სულუაშვილი (23-ე სკოლა), ლ. მანგოშვილი (54-ე სკოლა), ვ. ქერქაძე (53-ე სკოლა), ბ. კალანდაძე (1-ლი სკოლა), ნ. ნაებაშვილი (42-ე სკოლა), ნ. მარტიროსიანი (93-ე სკოლა), ლ. მაგისტროვა (44-ე სკოლა), ი. კრიუჩკოვა (28-ე სკოლა), ნ. ნემსაძე, ნ. თოდუა (51-ე სკოლა), დ. ზუმბაძე (მე-12 სკოლა), ნ. პაპანდო-

პულო (29-ე სკოლა), ნ. გაბრიჩიძე (68-ე სკოლა), მ. რამიშვილი (34-ე სკოლა), ი. კავსაძე, ლ. გურგენიძე (67-ე სკოლა), ნ. ლეჟავა (36-ე სკოლა); მ. მინდიაშვილი (სტალინირის 1-ლი სკოლა), ნ. ... ხეიშვილი (ფოთის 1-ლი სკოლა), ჯ. დოლიძე (ჭიათურის რაიონის ქვაციხის საშუალო სკოლა), ნ. ბასილაშვილი (ონის მე-2 სკოლა), ზ. ცხვედიანი (ცაგერის რაიონის სოფ. ლაილაშის საშუალო სკოლა), ქ. წილოსანი (ლანჩხუთის მე-2 საშუალო სკოლა), ნ. ბიბიჩიძე (ქუთაისის მე-5 საშუალო სკოლა), ზ. ვარდუაშვილი (დუშეთის რაიონის ოძისის რვაწლიანი სკოლა), ლ. მოისწრაფიშვილი (ლანჩხუთის რაიონის ჩოჩხათის საშუალო სკოლა), ლ. იაშვილი (ყვარლის მე-2 სკოლა) და სხვ.

კონფერენციის წარმატებით ჩატარებისათვის კარგად იმუშავეს ქუთაისის, ფოთისა და ლანჩხუთის რაიონის განათლების განყოფილებებმა, მასწავლებლებმა; ს. სამადალაშვილმა (თბილისის მე-4 სკოლა), ქ. ტუსკიამ (თბილისის 42-ე სკოლა), ნ. ხუნდაძემ (თბილისის 30-ე სკოლა), ა. ბეჟანიშვილმა (ყვარლის მე-2 სკოლა) და ვ. ჩხენკელმა (თბილისის 1-ლი სკოლა).

მაგრამ კონფერენციისათვის მზადებასა და მის ჩატარებაში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს:

წარმოდგენილი ნამუშევრებიდან ბევრი ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას. მცირე რაოდენობით იყო წარმოდგენილი თვითნაკეთი ხელსაწყოები და მოდელები, ნაკლებად ჩანდა პოლიტექნიკური შრომის ჩვევები. არადამაკმაყოფილებელი იყო ცხაკაიას, რუსთავის, ახალქალაქის, ბოლნისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, ორჯონიკიძის, ჩხოროწყუს, ქედის, გარდაბნის და კასპის რაიონების სკოლების და რესპუბლიკის რიგი სკოლის გარეშე დაწესებულებების მონაწილეობა. თიანეთის, ადიგენის, ასპინძის, კაჭრეთის, ქლუხორის, ყაზბეგის, წალკის, ახალციხის, დმანისის, თერჯოლის, გაგრის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირის, ხულოს, ზნაურისა და ჯავის რაიონებს კონფერენციაში სრულიად არ მიუღიათ მონაწილეობა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მოსწავლეთა მე-10 რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებითს კონფერენციაზე წარდგენილი საუკეთესო ნამუშევრების 396 ნორჩი ავტორი დაჯილდოვდეს ფასიანი საჩუქრებითა და თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის სიგელით.

2. მე-11 რესპუბლიკური სასწავლო შემოქმედებითი კონფერენცია ჩატარდეს ნოემბერ-დეკემბერში.

3. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული, რომ სასწავლო-შემოქმედებითს კონფერენციაში გამარჯვებულთა დაჯილდოება ამიერიდან ხდებოდეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელებით. სკოლების სამმართველომ შეიმუშაოს სიგელის ესკიზი და წარმოადგინოს დასამტკიცებლად ა/წლის 1 აპრილამდე.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) უზრუნველყონ მოსწავლეთა ფართოდ ჩაბმა მე-11 რესპუბლიკურ სასწავლო-შემოქმედებითს კონფერენციაში.

ბ) უზრუნველყონ, რომ მოსწავლეებმა თეორიული საკითხების დამუშავებისას დააყენონ ცდები და დაამზადონ თვითნაკეთი ხელსაწყოები, მოდელები, შეადგინონ ჰერბარიუმები, შეაგროვონ კოლექციები. საჭიროების შემთხვევაში მოხსენებებს დაურთონ: რუკები, დიაგრამები, ფოტო-დოკუმენტალური მასალები და ნახაზები;

გ) შექმნან კონფერენციის ჩატარების ხელისშემწყობი რაიონული კომისიები.

5. ნორჩ ტექნიკოსთა საქალაქო, რაიონულმა სადგურებმა თავიანთ სამუშაო გეგმებში გაითვალისწინონ მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციისათვის მზადების საკითხები.

6. თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლემ ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს სკოლებს და სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებს კონფერენციისათვის მზადების საქმეში.

7. განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის საჭიროებისათვის გამოუყოს პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს 500 კილოგრამი ქაღალდი.

8. გაზეთ „სახალხო განათლების“ და ჟურნალ „კომუნისტური აღზრდისათვის“ რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციისათვის მზადების მიმდინარეობა.

9. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ ოპერატიული ხელმძღვანელობა გაუწიოს მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციისათვის მზადებისა და ჩატარების საქმეს.

საქართველოს სსრ განათლების

მ ი ნ ი ს ტ რ ი **ვ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

1. მითითებანი მუშა ახალგაზრდობის სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ 3

3. ბრძანება № 236 — საბავშვო სახლებისა და სპეციალურ სკოლა-ინტერნატების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . 8

4. ბრძანება № 244 — თიანეთის, ხობის და ცაგერის რაიონების სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ 12

5. ბრძანება № 253 — თბილისის სკოლების ნორჩ მათემატიკოსთა მეორე ოლიმპიადის შედეგებისა და მესამე ოლიმპიადის ჩატარების შესახებ. 17

6. დებულება ნორჩ მათემატიკოსთა მეორე საქალაქო ოლიმპიადის შესახებ. 20

7. Приказ № 250 — О состоянии дисциплины учащихся 73-ей средней школы гор. Тбилиси. 22

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1955 წლის 28 იანვრის დადგენილება გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციის მუშაობის შესახებ. 23

9. ბრძანება № 318 — სკოლებში „მზად ვარ შრომისა და სსრკ თავდაცვისათვის“ ახალი კომპლექსის შემოღების შესახებ. 27

11. ბრძანება № 344 — მოსწავლეთა მე-10 რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის შედეგებისა და მე-11 კონფერენციის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ. 30

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი **მ. ბურჭულაძე**
ტექრედაქტორი **პ. გუნიავა**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/III-55 წ., ანაწყობის ზომა 6×10, ქაღალდის ზომა 60×92, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 2, სააღრ.-საგ.—1,55, საავტორო—1,48.

უე 02086. ტირაჟი 5.000. შეკვ. № 289.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობებისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა მთავარ სამმართველოს სტამბა № 2, თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5

Типография № 2 Главного управления по делам полиграфической промышленности, издательств и книжной торговли Министерства культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5.

უფასო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონი გასეიშვილი
ავადმყოფობს: [illegible]

ბატონი გასეიშვილი ა. ბ. [illegible]

ბატონი ნინო ბაბ. [illegible]: 3 [illegible]

31/III 55 წ.